





ნინო მიქიაშვილი

# მერაბ კოსტავა

წინაპრები,  
მოწამეობრივი ცხოვრება,  
აღსასრული

(მეორე გამოცემა)

ქუთაისი, 2016 წელი



Нино Миқиашвили

# Мераб Костава

Ахылтшытра,  
агәакратә пҭстазаара,  
адунеи аҭсахра

(მეორე გამოცემა)

ქუთაისი, 2016 წელი



### წინაპრები მამის მხრიდან

მერაბ კოსტავას წინაპრები სამეგრელოდან ბატონს გამოეყენნ და იმერეთში დასახლდნენ. მერაბის დიდბაბუა – ივანე პაატას ძე კოსტავა მეღვინეობას მისდევდა, მის მკვიდრ ბიძაშვილ, სახელგანთქმულ მეღვინე მათე კოსტავასთან ერთად. მათ ქუთაისში დუქნები ჰქონდათ. ივანე ქველმოქმედი, გაჭირვებულის უჩუმრად ხელის გამმართავი იყო. ივანეს და მის მეუღლეს 9 შვილი ჰყავდათ: ქეთევანი, კატო, იაკობი, დავითი, კონსტანტინე, მიქელა, მიხეილი, ქრისტეფორე, ვალიკო. ისინი ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე, ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ.

მერაბის ბაბუა – ქრისტეფორე კოსტავაც მეღვინეობას მისდევდა. მან ეკატერინე (კატო) ნუცუბიძეზე ჯვარი დაიწერა 1906 წლის 23 ივლისს, ქუთაისში. პირველი შვილი, გრიგოლ კოსტავა 1907 წლის 4 ივნისს შეეძინათ; 1910 წლის 6 იანვარს დაიბადა ივანე (ვანო) კოსტავა, მერაბის მამა. ჯვრისწერიდან შვიდი წლის შემდეგ – 1913 წლის 12 ნოემბერს ქრისტეფორე კოსტავა გარდაიცვალა. იგი ქუთაისში, მშობლებისა და და-ძმების გვერდით დაკრძალეს.

ადრიახად დაქვრივებული კატო ნუცუბიძე სათნო, ღვთისმოშიში და უაღრესად კეთილი ადამიანი, საბნებს კერავდა და თბლად დარჩენილ თრ შვილს ასე ინახავდა. მერაბ კოსტავა, რომ დაიბადა, კატო ნუცუბიძე საცხოვრებლად ქუთაისიდან თბილისში გადმოსუ-



### Абшътра

Мераб Костава ихылтшьтра Гыртэлантэи ахратэра иацэбналан Имеретика иааит нхара. Мераб иабду иаб, Иване Паата-иџа Костава адыкатара иеазикит. Иаб иашья гэакья, еицырдыруз адыкатаџ Мате Коставаи иарей Кэтешь адуханкэа рыман. Иване иџарыз ауаа дрыцхраауан. Иванеи иџхэysi 9 џык ахшара рыман: Кетеван, Като, Иакоб, Давид, Константине, Мицела, Михаил, Кристофоре, Валико. Урт Кэтешь Ниношвили имџаџ иказ аџн ду аџы инхон.

Мераб иабду Кристофоре Коставагы адыкатара дазказан. Кристофоре Коставаи Екатерине (Като) Нуцубizei 1906 шыкэса џхынгы 23 рзы еибагеит. Раџхятэи рхылц Гыргэал Костава 1907 шыкэса џхынгы 4 рзы диит, 1910 шыкэса ажырныхэа 6 рзы диит Иване (Вано) Костава, Мераб иаб. Атаацэарахара бжышыкэса рышьтахь, 1913 шыкэса абцара 12 рзы Кристофоре Костава иџстазаара далцит. Уи Кэтешь иани иаби, иашьцэеи иахэшьцэеи рывараџ анышэ дамардеит.

Иџхэysiбахаз Като Нуцубize анцэа дхазцоз, даараза згэы разыз џхэysiн, ахызакэа лџахуан, еиџымны иаанхаз џыџа лџацэа лара лымацара илаазон. Мераб Костава дани, Като Нуцубize нхара Кэтешьынтэ Картка диасхьан. Уи Мераб иаазараџы ароль ду налыгзеит. Като Нуцубize анышэ дамадоуп Сабуртало аџсыжыртаџ, лычкэysiн лтацеи – ВаноКоставаи Ольга Демურიеи ахьжу.

ლი იყო. მან მერაბის აღზრდაში დიდი როლი ითამაშა. კატო ნუ-  
ცუბიძე დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე, იქ სადაც მისი  
შვილი და ზძალი – ვანო კოსტავა და თლღა დემურია-კოსტავა  
განსვენებენ.

მერაბის ბაბუის ძმა – იაკობ კოსტავა ქიმიში სსსწავლო და  
მეთოდური სახელმძღვანელოების ავტორი იყო. ამასთან, მან ქიმი-  
ის სახელმძღვანელო რუსულიდან ქართულად პირველმა თარგმნა.  
იაკობ კოსტავამ ქუთაისის I გიმნაზია და შემდეგ ყაზახეთში ბიოქი-  
მიური ფაკულტეტი დაამთავრა. იგი რესპუბლიკის დამსახურებული  
პედაგოგი გახლდათ. კომუნისტურ პარტიაში არასდროს შესულა,  
ანტიკომუნისტურ განწყობას ღიად გამოხატავდა.

იაკობ კოსტავამ გელათის მონასტრის ძარცვის ფაქტი მოიკვლია  
– ნაძარცვიდან რამდენიმე ნივთს და მათ შორის დავით აღმაშე-  
ნებლის თქრთს ბეჭედს, რომელსაც დავით მეფე ცერზე იკეთებდა,  
ყაზახეთის მუზეუმში მიაგნო. მოკვლევის დეტალები იაკობმა ჩანაწე-  
რებში ასახა, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა.

იაკობ კოსტავა 1974 წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს ქუთაისში,  
მშობლებისა და და-ძმების გვერდით. დარჩა ორი შვილი – თამარ  
(თამარიკო) კოსტავა და სოლომონ (სოსო) კოსტავა.

თბილისში ცნობებისას იაკობის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ:  
კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი,  
სხვები და ქვეყნისთვის საჭირობოროტო საკითხებზე მსჯელობ-  
დნენ. იაკობის ხშირი სტუმარი იყო მერაბ კოსტავა, რომლის ცნო-  
ბიერების ჩამოყალიბებზეც მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია,  
ისევე, როგორც გრიგოლ კოსტავამ, მერაბის მამის ძმამ.

გრიგოლ კოსტავასადმი დამოკიდებულება ასახულია წერილში,  
რომელიც 1979 წლის 2 ივლისს მერაბმა თჯავანს პერმის პოლიტბა-  
ტიმართა ბანაკიდან გამოუგზავნა:

„...როგორ გამოგვეცალა ხელიდან ეს ვაჟკაცი, კაცი მძიმე და  
მნიშვნელოვანი ბედისა, ბედის არ მგობელი და ბედისგან დაუმარ-  
ცხებელი, ბავშვობის დროიდანვე ჩემი იდეალი, რომელიც 10 წელი  
არ მენახა და რომელიც იმხანად ხალხმა, თავად საქართველომ

Мераб иабду иашья - Иаков Костава ахимиа арцагашәкәкәеи,  
аметодикатә шәкәкәеи авторс дрыман. Иара убас ахимиа арцагашәкәкәи  
аурыс бызшәакынтә ақыртшәахь еитеигеит. Иаков Костава Қәтешьтәи  
актәи агимназиетәи, Казахстан акны абиохимиа тә факультетит дрылгеит.  
Уи ианашьоуп ареспублика зәаңсазтәыз арцафәи ихьз. Акоммунисттә  
партия даламызт, ари апартия дшағагылоз иаартны ааирпъшуан.

Иаков Костава Гелаттәи ауахәама абертыпъ архәра афақт титцаит  
- ирбьычыз матәаркәак, урт рыбжьара Давид Аргылаф инацәкыс  
иахеитоз ахымацәазгы, Казахстантәи амузетәи афәи ибеит. Иаков ари  
ауспъшаара адеталькәа рыххәаа кәитцеит, аха урт макьана акыпъхь  
рымбазацт.

Иаков Костава 1974 шықәса рзы иңстазаара далцит. Анышә  
дамардеит Қәтешь, иани иаби, иашьцәеи иахәшьцәеи рыварафә.  
Иаанхеит ыңыца ихәычкәа: Тамар (Тамрико) Коставетәи Соломон  
(Сосо) Коставетәи. Қарт данынхоз Иаков ифны лассы-лассы еикәшәалон  
Константине Гамсахәырдиа, Шалва Нуцубизе, Вахтанг Котетишвили.  
Урт рыпъсадгыыл азы акырзцазкәаз азцаарақәа ирылацәажәон. Иаков  
итәауаз асасцәа дыруазәкын Мераб Костава, идунеихәапъшышыа  
ашьакәгылараф ароль хада нарыңзеит Иаков Коставетәи, Мераб иаб  
иашья Гьыргәал Коставетәи.

Гьыргәал Коставетәи Мераби реизыказашья ибзианы иаарпъшуп  
Пермь акнытә, аполитбаандафә Мераб Костава 1979 шықәса пұхынгәы  
2 рзы итаацәара ирзааишьтыз ашәкәы афә:

“...Дышпәахцәызи ари ахатца бьеф, злахьынтца цәгыаз, злахьынтца  
иақәмызбоз, злахьынтца здызымкылоз, схәычраахыс фырпъшыгас  
исымаз, 10 шықәса исымбацыз ауафә, Уи усқан Қырттәйлеи  
ауаажәлари бзиа дысдырбеит. Азәы иужәлои хәа дсазцаауазтгы,  
Гриша Костава дызласықаз азцаарагы дацәаашьомызт, нас уи  
ифырхатарей иуафбзиарей рыхцәажәара далагон.”

Мераб иаб иашья Гьыргәал Костава, актиор, пұхьатәи  
аполитбаандафә, 1924 шықәсатәи аилафынтраан рапұхьаза акәны  
дтаркит. 17 шықәса зхьыцауаз Гьыргәал шықәсык дтәкын. Убри  
инаркны “хылапъшрада” даанрыжьаамызт, ари арцабыргуеит иус

შემაყვარა, რადგან თუ კი ვინმე მკითხავდა რა გვარისა ვიყავი, იმის კითხვასაც არ დამიშურებდა, თუ გრძობა კოსტავას რა იყო ჩემი და გამონაკლისის გარეშე მოჰყვებოდა მისი ვაჟკაცობისა და კაიკაცობის ამბავს...“

მერაბის ბიძა – გრიგოლ კოსტავა, მსახიობი და ყოფილი პოლიტპატიმარი პირველად 1924 წლის აჯანყების დროს დააპატიმრეს. 17 წლის გრიგოლი ერთი წელი დატუსაღებული ჰყავდათ. იქიდან მოყოლებული “უყურადღებოდ” არ ტოვებდნენ, რასაც აღასტურებდნენ საქმის მასალებში აწესებული, 1932 წლით დათარიღებული დოკუმენტი – “ჯგუფში არის გრიგოლ კოსტავა, რომელიც 1924 წელს იჯდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, აგვისტოს აგანტიურის დროს”.

გრიგოლი მეორედ 1945 წლის 30 მარტს დააპატიმრეს. საქმის მასალების მიხედვით, გრიგოლ კოსტავა 1942 წლის მაისიდან იყო ვალერიან დვალის მიხედვით ნელმდგანელობით მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის “საქართველოს გათავისუფლების კომიტეტი” წევრი; გრიგოლ კოსტავამ შეადგინა და გასაფრცვლებლად 500 პროკლამაცია დაბეჭდა.

1945 წლის 4 აგვისტოს სამხედრო ტრიბუნალმა გრიგოლ კოსტავას დახვრეტა მიუსაჯა. ამის შესახებ თვითნებ ცხინიდან გამოგზავნილ, ლობიოს მარცვლებში განვეული სიფრიფანა წერილებიდან შეიტყო – “მომისაჯეს დახვრეტა. ბედნიერი ვარ, რომ თქვენ ყველანი კარგად ხართ. მე არაფრის არ მემინია. ჩემთვის ახლა სულერთია. მხოლოდ ის მაწუნებს, რომ თქვენ გაგაწვალეთ. არ მიღარდთ. გკოცნი, კარგად იყავით ყველანი”.

ერთი თვისა და ცხრა დღის შემდეგ, 1945 წლის 13 სექტემბერს გრიგოლ კოსტავას სასჯელის უმაღლესი ზომა 10-წლიანი პატიმრობით შეუტვალეს და გადაასახლეს. გრიგოლი სამშობლოში 1955 წლის 14 აპრილს დაბრუნდა და სამსახიობო მოღვაწეობა ქუთაისში გააგრძელა.

1935 წლიდან მოყოლებული 15 ფილმშია გადაღებული. მათ შორისაა დიკო “გლახის ნაამბობში”, ამილახვარი “მაია წყნეთელი”,

ამატირალკა ირლოუ, 1932 шыкәсазы иеиқәыршәоу адокумент – “Ағәып далоуп 1924 шыкәсазы аполитикатә усбартағ “нанхәатәи авантиураан“ итакыз Гьыргәал Костава”.

Абынтәраан Гьыргәал дтаркит 1945 шыкәса хәәжәқыра 30 рзы. дтаркит. Аус амаტიрალкә инрықәырғшыны, Гьыргәал Костава 1942 шыкәса латарамза инаркны далан Валериан Двалишвили инапхгарала еиғкааз “Қыртәыла аконтрреволиуциатә комитет”. Гьыргәал Костава еиқәыршәан икыпұхыт 500 прокламациак.

1945 шыкәса нанхәа 4 рзы арратә трибунал аҗбарала Гьыргәал Костава ашьра иқәырцеит. Ари иазкны итаацәара абахтақынтә ироуз ақәыд итацәахны ақәаб итаз асаламшәқәы ақынтә еилыркааит – “Ашьра сықәырцеит. Акызатәык ауп иахәа сзыргәырғьо, - шәара хар шәымамкәа шәахықоу ауп. Акымзарак ақы сацәшәом. Сара сзы уажәы зегьы дара роуп. Акызатәык ауп хәаас исымоу – шәара шәыхьсыргәақуа. Шәгәыдыскылоит, Абзиара шәыгымхааит зегьы ибзианы шәықаз!” хәа.

Мызки жәамши рнаос, 1945 шыкәса цәыббра 13 рзы, Гьыргәал Костава ашьауҗақәтара изырыпсахын, 10 шыкәса атакра иқәырцан, дахыргеит.

1955 шыкәса мшапұымза 14 рзы Гьыргәал Костава иҗсадгьыл ахь дхынхәын, актиорк иахасабала Қәтешь аусура далагеит. 1935 шыкәса инаркны дтыхуп 15 киносахыак рғы. Хатала Дито “Ацәхәықьантаз иажәабжь”, Амилахвари “Маиа Цқнетәи”, Арчил “Нино” уб. егы. 55 шыкәса рыөнүцқала Гьыргәал Костава инаигзеит 90 инреиханы еиуеиҗшым арольқәа. Иакымкәа аинсценировкақәа дракторын. 1961 шыкәсазы иа ашьан зеаҗсазтәыз артист хәа ахьз, 1965 шыкәсазы - жәлар рартист хәа ахьз.

Гьыргәал Костава 1979 шыкәсазы иҗстазаара далцит. Уи ашәқәыоцәеи ауаажәларратә усзуоцәеи Сабурталотәи рпантеон ағы анышә дамардеит. Дитынхеит чкәынак – Давид (Дато) Костава.

აჩრდილი “ნინოში”. სამსახიობო მთავარწილების 55 წლის განმავლობაში გრიგოლ კოსტავას 90-ზე მეტი როლი აქვს განსახიერებული, რამდენიმე ინსცენირების ავტორია. 1961 წელს დამსახურებული არტისტის წოდება მიიღო, 1965 წელს სახალხო არტისტის.

გრიგოლ კოსტავა 1979 წელს გარდაიცვალა. იგი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს. დაჩნა ერთი შვილი – დავით (დათო) კოსტავა.





შუაში, შავი ჩონა-ახალუხით მერაბის დიდბაბუა ივანე პაატას ძე კოსტავა მეუღლესთან, 9 შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. ზემოდან პირველი რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ქეთევანი, იაკობი, დავითი, კონსტანტინე, მიქელა, მისეილი;

მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: კატო კოსტავა, შვილთან ერთად; ჩინტიკობით მერაბის დიდბებია და მისი მეუღლე ივანე პაატას ძე კოსტავა; შალვა (ბუხუტი) კაჭახიძე, კატო კოსტავას მეუღლე ქალიშვილთან ერთად; ეკატერინე ნუცუბიძე და ქრისტეფორე კოსტავა, შავი ჩონა-ახალუხით, უმცროსი ვაჟთან ვანო კოსტავასთან ერთად; სულ ქვემოთ, მარცხნიდან პირველი ვაღიკო ივანეს ძე კოსტავა, ცხრა და-ძმის შორის ყველაზე პატარა; მის გვერდით გრიგოლ კოსტავა, ქრისტეფორესა და ეკატერინეს უფროსი ვაჟი. (დათო გრიგოლის ძე კოსტავას არქივიდან)

Агәтаны, акәымжәы еикәатәа зшәу Мераб иабду иаб, Иване Паата-иҭа Костаеи иҭшәмеи, 9 ык рышареи рмоҭаҭеи. Хыхь актәи ацәахәаҭы, армарахьынтә арҭьарахь игылоуп: Қетеван, Иакоб, Давит, Константине, Микела, Михаил;

Аәбатәи ацәахәаҭы армарахьынтә арҭьарахь итәоуп: Като, Котсаваи лхылци, акасы зху Мераб ианду лани лхатца Иване Паата-иҭа Костаеи; Шалва (Бухути) Качахизе, Като Костава лыпшәмеи лыпшәи; Екатерине Нуцубизни акәымжә еикәатәа зшәу Кристефоре Костаеи, иҭеицбы Вано Костаеи; цака армарахьынтә актәи Валико Иван-иҭа Костава, жәык аиахәшьцәеи аиашьцәеи рыбжьара зегь иреицбу; ивараҭ Гьыргәал Костава, Кристефореи Екатеринеи рҭеиҳабы

*Дато Гьыргәал-иҭа Костава иархив аҭынтә*



ქრისტეფორე კოსტავას და კატო ნუცუბიზის ჩანაწერები  
(დათო გრიგოლის ძე კოსტავას არქივიდან)

Кристефоре Коставаи Като Нуцубიზეи ринтамтакаа  
Дато Гьыргәал-иҭа Костава нархив аҕынтә



მათე კოსტავას ჩამოსხმული საეკლესიო ღვინის ეტიკეტი\*  
Мате Костава иртәаз аҕахәаматә ды аетикет



ძმები კოსტავების ჩამოსხმული ღვინის ეტიკეტი\*  
Аиашьцәа Коставаа идыртәаз ады аетике

\* მათე კოსტავას შვილთაშვილების - გულნარა (ძაძუ) ალექსანდრეს ასული კოსტავას და სერგო მათეს (დათუნას) ძე კოსტავას არქივიდან

Мате Костава имота Гульнара (Зазу) Александр-иҭҭха Коставаи Серго Мате (Датуна)-иҭа Коставаи рархив аҕынтә



მერაბის ბაბუის ძმა –  
იაკობ კოსტავა  
სოსო იაკობის ძე კოსტავას  
არქივიდან

Мераь иабду иашья  
Иакоб Костава  
Сосо Иаков-иџа Костава  
иархив аќынтә



გზიფელ კოსტავა –  
მერაბის მამის ძმა  
(დათო გზიფელის ძე კოსტავას  
არქივიდან)

Гыргәал Костава –  
Мерабиаб иашья  
Дато Гыргәал-иџа Костава  
иархив аќынтә

მერაბის ბაბუის ძმა –  
იაკობ კოსტავა

მერაბის ბაბუის ძმა –  
იაკობ კოსტავა

გზიფელ კოსტავა –  
მერაბის მამის ძმა  
(დათო გზიფელის ძე კოსტავას  
არქივიდან)

ცარიელ ქვებში ჩაყრილი, ლობიოს მარცვლებში გახეული ეს წერილები,  
გზიფელ კოსტავამ თჯახს ცხინიდან 1945 წელს გამოუგზავნა (დათო გზიფელის  
ძე კოსტავას არქივიდან)

Акәыд итацәахны ақәаб итаз арт асаламшәкәкәа Гыргәал Костава  
абахтақынтә итаацәара ирзааишьтит 1945 шықәсазы  
Дато Гыргәал-иџа Костава иархив аќынтә





გზიგოლ კოსტავა არჩილის როლიში, კინოფილმიდან „ნინო“. 1959 წელი.  
(დათო გზიგოლის ძე კოსტავას არქივიდან)

Арчил ироль назыгзо Гьыргәал Костава, акинофильм “Нино” ақынтә. 1959 шықәса *Дато Гьыргәал-иҭа Костава иархив ақынтә*

## Аншьтра

Мераб ианду – Лиуба Гогава, Урыстәыла ахәынҭқар ихаантәи аподполковник, Қәтешьтәи агубернатор ихатыҭуаф, Ермолаи Гогава иҭҭа лакәын.

Қәтешьтәи актәи ахәса ргимназиа ашьтахь, Лиуба Гогава Одесса афармацевттә цараурта далгеит. Владимир Демуриа Одесса ауп дахьылдырыз. Урт хәык ахшара роут, аиҭабы Надиа, агәыбжьанытә Ольга, аитҭбы Вера (Бачана).

Мераб иабду Владимир Демуриа аурыс бызшәеи алитературеи аметодикатә абжьагарақәеи рекомендациақәеи, апрактикатә рҭагашәкәқәеи дракторын. Уи Одессатәи ауниверситет аҭоурыхтә-филологиатә факультет дтан. Ибзианы идыруан абырзен, алатын, анемец, аурыс бызшәқәа. Одессатәи ауниверситет даналга, Луганск ақалақь аҭы ахацәа ргимназиаҭ аусура далагеит. Ҕытрак ашьтахь ари агимназиа директорс дқалоит.

1918-1921 шш. рзы Владимир Демуриа Сенаки ақалақь аҭы ахацәа ргимназиа директорс дықан, 1921 шықәса инаркны 1831 шықәсанҭа Сенактәи арҭафратә-педагогикатә техникум директорс, 1932 шықәса инаркны Қарттәи апедагогикатә институт адиректор ихатыҭуафыс дқартцеит. Аамтакала, - Иване Цьавахишвили ихьз зху Қарттәи ахәынҭқарратә университет аҭы астудентцәа дырзаҭхьон арҭафреи аурыс бызшәеи рзы алекциақәа. Аҭыхәтәан аус иуан аҭарадырра аминистрраҭ ашқолқәа ргәатаратә усбарта еиҭабыс. Акоммунистә партия даламызт. Владимир Демуриеи Лиуба Гогавеи анышә иамадоуп Қарт, Ваке аҭсыжыртаҭы, рмата Иракли Костава ивараҭ.

## წინაპრები დედის მხრიდან

მერაბის ბებია – ლუბა გოგავა იყო მეფის რუსეთის პოდბოლკონიკისა და ქუთაისის გუბერნატორის თანამემძღვის ერმალო გოგავას ქალიშვილი. ქუთაისის ქალთა პირველი გიმნაზიის შემდეგ, ლუბა გოგავამ თდესის ფარმაცევტული სასწავლებელი დაამთავრა. ვლადიმერ დემურიაც თდესაში გაიკნო. მათ სამი შვილი შეეძინათ – უფროსი ნადია, შუათანა თლლა და უმცროსი ვერა (ბაჩანა).

მერაბის ბაბუა – ვლადიმერ დემურია რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდური, სარეკომენდაციო და პრაქტიკული სახელმძღვანელოების ავტორი იყო. მან თდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. შესანიშნავად იცოდა: ბერძნული, ლათინური, გერმანული და რუსული ენები. თდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ქალაქ ლუგანსკის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობა დაიწყო. მოგვიანებით ამავე გიმნაზიის დირექტორი გახდა.

1918-1921 წლებში ვლადიმერ დემურია სენაკის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი იყო, 1921-დან 1931 წლამდე – სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი, ხოლო 1932 წლიდან თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. პარალელურად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს პედაგოგიკასა და რუსულ ენას უკითხავდა. ბოლოს მუშაობდა განათლების სამინისტროს სკოლების ინსპექციის სამმართველოს ხელმძღვანელად. კომუნისტურ პარტიაში არ გაწევრიანებულა. ვლადიმერ დემურია და ლუბა გოგავა დაკრძალულები არიან თბილისში, ვაკის სასაფლაოზე, შვილთაშვილის ირაკლი კოსტავას გვერდით.



მერაბის ბაბუა-ბებია დედის მხრიდან – ვლადიმერ დემურია და ლუბა გოგავა  
მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის ფოტო-არქივიდან

Мераб иабдуи иандуи иан лганахьынтә - Владимир Демურიеи Лиуба Гогавеи

Мераб Костава имемориалтә фны-музеи афото-архив ақынтә